# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 50 მან., ნახევარ წლით 30 მან. თითო ნომრი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. ,,თეატრი და ცხოვრება'' იოსებ იმედაშვილი.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 86

1919 წ. № 13 კვირა გიორგობისთვის 30 | ფასი 5 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემის

## მიიღება 1920 წ. ხელის მოწერა. წლიურად 50 მ.



არც მარჯვნივ არც მარცხნივ—აი ჩვენი სწორი გზა სოციალიზმისკენ!
ესკიზი ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან სახალხო გვარდიის ყრილობაზე. ნახ. ს. შ-ძესი

## სულით ურწმუნო გულით უნდო!

„გველსა ხვრელით აღმოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო,“ გვასწავლა შოთამ, მაგრამ ჩვენ ეს მცნება დავივიწყეთ და დღესაც უხეში ძალით ვუმასპინძლდებით ხალხს.

თვით ხალხიც თხოულობს მაგარ მუშტს,—

მხოლოდ მაშინ გეთაყვანება როცა შენში ძალას ხედავს, — შიში შეიქმს სიყვარულსო.

მაგრამ ამითი განა შორს მანძილს გავივლით?! გარდა ამის, ნუ თუ მხოლოდ მუშტის ძალას უნდა ეყრდნობოდეს თავისუფალი ხალხი?!

პირიქით საჭიროა ძალა ზნეობრივი, ტკბილი სიტყვა, სათუთი მოპყრობა, ერის სულის განსპეტაკება, საკუთარი რწმენის განმტკიცება!

რითი შეიძლება ეს? — კულტურული მუშაობით, განსაკუთრებით ხელოვნების აყვავებით.

ჩვენი მიყრუებული დაბა-სოფლები დღეს რომ უმეტეს შემთხვევაში სწორედ იმ გაიძვერების ნება-სურვილს ემსახურება, რომელთა იდუმალი მიზანი ამავე ხალხის დაღუპვაა, ამას ვერა გრძნობს...

და ვერა გრძნობს იმიტომ რომ იგი ჯერ გონება ბნელია, სულით ურწმუნო, გულით უნდო...

თავისუფალი სამშობლო კი ასეთი ბრმა მოქალაქეებით ვერ იბედნიერებს.

ჩვენი ერი, ხალხი თავისუფალი უნდა იყოს არა მხოლოდ გარეგნულად, სხეულებრივად, არამედ შინაგნობითაც, სულიერად.

ყველას მოეხსენება, დღემდე ჩვენს სოფელზე თითქმის არავინ ზრუნავდა. სიბნელეში ჩაფლული სოფელი დღესაც ჯოჯოხეთურ პირობებშია: ყაჩაღობა პატივსაცემ ვაჟკაცობად არის მიჩნეული, თითოეული გლეხთაგანი თითქო მხოლოდ იმას ფიქრობს როგორ ამოჰხუთოს! სული მეორეს, ბევრგან ვერც კი შეუგნიათ სამშობლოს თავისუფლების ფასი, დემოკრატიულ წყობილების ღირებულება.. მხოლოდ ნივთიერი მოთხოვნილების ჟინი ჰბატონობს, სული მისი მკვდარია, აჭამე, ასვი, ჩააცვი, — სხვას არას გთხოვს.

ამიტომაც მოელის პურისთვის ლენინს, ხარჯების აცილებისთვის — ბალშევიკებს.. მასში აღარ არის მაღალი გრძნობა; სიყვარული ადამიანთა, კაცთმოყვარეობა..

და ყოველივე ეს იმიტომ, რომ ძველი ხელოვნება ზღაპარ იგავ არაკთა სახით, რომელიც მის სულს ასაზრდოებდა, მიყუჩდა, ახალი ხელოვნება თეატრი და მუსიკა — მისთვის მიუწდომელი შექნა, სკოლა ან არა აქვს, ანუ უკულმართი. და ასეთ მიზეზს თვისი შედეგიც მოყვა.

სასწრაფო ყურადღება უნდა მიექცეს წესიერს და ხალხის ნივთიერ სულიერ მოთხოვნილებასთან შეფარდებულ სკოლების გამრავლებასთან ერთად ხალხში ხელოვნების გავრცელებასაც — იდეურ წარმოდგენა — სალამოების დადგმას უპარტიო სახელმწიფოებრივ შინაარსის საუბრების მართვას, ნივთიერ ოჯახურ ცხოვრების შესახებ მეცნიერულ დარიგებას, საკუთარი მიწაწყლის მფარველ სამშობლოს იდეის გაღვიძებას.

მოკლედ: ჩვენს ხალხს უნდა მივუდგეთ ტკბილის ენით, თბილი გულით, განუსაზღვრელი სიყვარულით, ჩავახედოთ საკუთარ ცხოვრების სარკეში, ვუჩვენოთ საკუთარი სულის ვითარებანი, რომ მასშიც უმაღლესი გრძნობანი აღიძრას, მიწიერ არსებობიდან ამაღლდეს, გაერთიანდეს, და მით შეიქნას ერთი ძლიერი ქართველი ერი!..

ეს კი შეუძლიან არა მხოლოდ ხიშტსა და ყუმბარას არამედ ხელოვნებას...

დაე, ჩვენმა ხელოვან მსახიობებმა და ერის სულიერმა მესვეურებმა აქეთ მიმართონ თვისი ყურადღება: აქ სამკალი ფრიად ბევრია, მუშაკი მცირედ.

იოსებ იმედაშვილი

## ენკენისთვეში

ენკენისთვეში სული მარად წარსულს მისტირის,
გამქრალი ჟამი ყმაწვილობის კვლავ მენანება;
მაგრამ საწუთრო ყურს არ უგდებს ამ გვარსა ჩივილს
და საფლავისკენ ყველას ცივად მიელალება.

ვიცი გაირბენს უმნიშვნელოდ ბევრი დრო-ჟამი,
ჩემს წარსულ დღეებს მეგობრები მოიგონებენ;
შემდეგ ისინიც გაჰქრებიან ვით ტრფობის წამი,
ვიდრე ქვეყნის ვალს სამუდამოდ მოიშორებენ.

ო, რა ძნელია უმღეროდე ამაოებას;
მე ყველას ვუმზერ ვით გაცრეცილ მიმავალ ღრუბელს...
შავი არშია გარს უვლია საწუთროებას
და ჯოჯოხეთის ცეცხლის ალი ქაჯივით ურბენს!

ქნარი.



## ლეონიდ ანდრეევი

რუსეთის უკანასკნელ ამბების გამო ლ. ანდრეევი აპირებდა სამუდამოდ ამერიკაში გადასახლებას, მ.გრამ. . უეცრივ გარდაიცვალა.

ლეონიდ ანდრეევი, ეს ,,ცრუ ღმერთების'' მებრძოლი, იყო უკანასკნელთაგანი წარმომადგენელი რეალიზმის მიმართულებისა რუსეთის ლიტერატურაში დნ ერთი დამაარსებელთაგანიც სიმბოლიზმისა... მან თავის უკვდავ ნაწარმოებით ჩაკლა საზოგადოებაში ის პესიმიზმი, რომელიც მოჰყვა 1905 წ. მოძრაობის დამარცხებას, მხოლოდ პროგრესს სიმბოლიური კითხვის ნიშანი დაუსვა... როგორც ლევ ტოლსტოის დასჭირდა გაწითლება განათლებულ ქვეყნის წინაშე თავის ბნელ ხალხის და ბიუროკრატიის გულისთვის, ისევე მოუვიდა ანდრეევსაც... ოღონდ მას შერცხვა შავბნელ რევოლიუციონერებისა. ანდრეევი გარდაიცვალა... ,,ცრუ ღმერთები''-კი კვლავ მეფობენ.

## წერილები ხელოვნებაზე.

1. შეუძლებელია არ აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც დასდო კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ ჩვენი ეროვნული ხელოვნების აღორძინებას: მან ჰქმნა ის, რაც ჩვენმა მთავრობამაც კი ვერ შესძლო ხელოვნების დარგში,

კაპელას ისტორიული კონცერტი წარსულ თვეს სახ. სახლში და დრამ. სტუდიის წარმოდგენები მაჩვენებელია, რო კავ. ღვაწლს უქმად არ ჩაუვლია. მადლობის ღირსნი არიან კოოპერ. კავშირის გამგეობის წევრნი იმ შთაგონებისათვის, იმ რწმენისათვის, რომ ხელოვნებაა ერთად ერთი ძალა ხალხის კულტურულ აღორძინებისა. და ხელოვნებით აღზრდილ ხალხს ვერავითარი მილიტარისტული ძალა ვერ დასცემს მორალურად.

პატივცემულ გამგეობას არ დასჭირდა თავსატეხი კრებების მართვა, ჩვენი ხელოვნების კრიზისის გამოსარკვევად არც რწმუნება ზოგიერთ პუბლიცისტების, რომელნიც კოოპერატივთა კავშირს პრესაში ურჩევდნენ დაენებებინათ ზრუნვა ხელოვნებისათვის და შედგომოდნენ ,,თავიანთ საქმეს''...

მან გაშალა ხელოვნების დროშა და ჩვენ საყვედურის მაგიერ, ვაშას შევსძახით.

2. ჩვენი ახალგაზდა მწერლები გვიწყრებიან, ქართველი საზოგადოება ჩვენდამი გულცივობას იჩენსო.

იმ დროს როდესაც ჩვენი სამშობლოს აღორძინება გვიახლოვდება და ჩვენი ხალხი მოითხოვს რუსთველის ქნარის აჟღერებას, ჩვენი ახალგაზდა მწერლები ნეტარების ღვინით გავსილ ჭიქით ხელში გიჟურად დასცეკვამენ ლამაზ ქალის სხეულის გარშემო და გუნდრუკს უკმევენ.. დავიწყებიათ: იდეა, სამშობლო, ხალხი, ბუნების სიმშვენიერე.. მათი შემოქმედება: გრძნობების ცეკვა, სქესობრივი სიყვარული, ცხოვრების არაფრად ქცევა და სხვა.

და განა ამის შემდეგ მათი საყვედური ღირსია ყურადღების?

**სგ. წერეთელი**

## ჯაან ბიჭებო!

ბრძოლის ველზე ვიყავი,
თუმცა არ გახლდით მეშრმილი;
სიცხადლე სილაჩრეში
არ მყოლია მე ტოლი!

თუ გავედი ველადა
მხოლოდ საჯიბელადა,
ამევსო, მოვსულიყავ
სახლში ისევ ხელადა.

ცოცხლებს რას წავართმევდი:
არ მრცხვენოდა მკვდრებისა,
თუ დამცლოდა ვიცოდი
ყადრი ჯიბეებისა!

მაგრამ დაიწყო ომი,
ატყდა ფოფის გრიალი,
იქექეს ზარბაზნებმა
ტყვიებს გაქყთ ზრიალი,

გავარდნენ ყუმბარები,
შეარყიეს მთა-ველი;
სიბავშვე დამემართა,
გავხდი ციდა-მტკაველი.

ქიასავით მოკუნტულს
ამივარდა ცახცახი,
მიწას ისე დავაკვდი,
როგორც დამპალი კვახი.

მკვდრები და ჯიბეები
აღარ მაგონდებოდა;
ჩემს იქით, მოშორებით
ყუმბარა რომ ტყვოებცდა.

როდი მენაღვლებოდა,
თუ იქ ძმა მიკვდებოდა,
მხოლოდ იმას ვნატრობდი
როდის დაღამდებოდა.

დაღამდა როგორც იყო
და რომ არ ვსთქვა ტყუილი
ისე გამოვიბანე
როგორც კატის სრუილი. *)

მოვრბოდი მარტოდ მარტო,
გულზე ცეცხლი მეკიდა,
სამშობლო და ქვეყანა
ფეხებზეც არ მეკიდა!...

ჯაან ბიჭო, ვიფხვიმევ,
დღეს სიცოცხლე შენია!
ვაჟკაცი შენ ყოფილხარ,
რომ თქმისაც არ გრცხვენია!

დაგრჩენია მხოლოდ იქ
ჯიბის ხელთათმანები...
ღმერთმა არ დაულიოს
ჩვენს მტერს შენისთანები!...

**შიო მღვიმელი**

*) ცინდლი.



შაქრო საფაროვი

ვისაც ქართულ თეატრის ისტორია შვუსწავლია, აუცილებლივ დააფასებს იმ ჩუმ მოღვაწეთ. რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირეს სამშობლო სცენას. ამ მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნის შაქრო საფაროვიც, რომელიც 35წ. ემსახურება ქართულ სცენას. ბობჩინსკი, ძუნწი და სხ. აი მისი როლები. ცნობილია განსაკუთრებით პროვინციაში. თუმცა თბილისშიაც ხშირად მონაწილეობდა დრ. საზ. დასში, დაუღალავდ მოღვაწეობს სახალხო თეატრში, როგორც მსახიობი და რეჟისორი. იმედია ქართველი საზოგადოება არ დაივიწყებს შაქროს დაუღალავ სასცენო შრომას და ღირსეულად დააფასებს.

ქართლ-იმერელი.

---

# განახლებული სიცოცხლე

(რომანი. გაგრძელება. იხ № 12)

გენ. წულუკიძესთან ლაპარაკის გათავების შემდეგ ს. მდივანი სომხებს მიუბრუნდა და უთხრა:

—აი, მოქალაქენო, თქვენის ყურით გაიგონეთ, რა ინსტრუქციებიც მივეცი ჩვენს გენერალს. ეგ არ ესვრის. მაგრამ მეორე მხრით საჭიროა, ამბოხებულ გლეხების დაწყნარებაცა რომ უფრო სამწუხარო ამბები არ მოხდეს. ამიტომ გთხოთ თქვენ შორის რამდენიმე პირი ამოირჩიოთ და მათთან მოსალაპარაკებლად წარგზავნოთ

ამ განცხადებამ თითქო ცივი წყალი გადაასხა სომეხთ: თუმცა მათ შორის იყვნენ თვით სომხეთის გარედაც ცნობილნი საზოგადო, სამწერლო და პარტიული მოღვაწენი, მაგრამ არც ერთმა არ იკისრა გლეხებთან მოსალაპარაკებლად მისვლა: დაშნაკციუთიუნის გავლენიან წევრთ აშკარათ სხვადასხვა საბაბით უარი სთქვეს —ჩვენ არ შეგვიძლიან აჯანყებულ გლეხებთან მოლაპარაკებაო, ხოლო გულში-კი თითოეული მათგანი ერთს ფიქრობდა: ,,როგორ! ჩვენგან აგიზგიზებულ ცეცხლს ჩვენვე დავასხათ წყალიო?.‘‘

სამაგიეროდ ს. მდივანის აზრმა ზოგიერთ უპარტიო გლეხებში თანაგრძნობა ჰპოვა.

—აი, კურთხეულიმც იყოს შენი მშობლის ხსენება,—წამოიძახა ერთმა სომეხმა გლეხმა—თქვენ რომ ერთი გამობრძანდეთ, ანუ კაცი გამოგზავნოთ და ტკბილი სიტყვა უთხრათ გლეხებს, იცით რა მოხდება?! ვიღაც მეშფოთარი ავაზაკები ურევენ საქმეს, თორემ ღმერთია მოწამე ქართველსა და სომეხს შორის საომარი არაფერია... განა როცა ძმები იყრებიან, მათკი არა აქვთ სადავო? მაგრამ მორიგებით ათავებენ საქმეს... ოღონდ თქვენ მოდით, ან დელეგატი გაგზავნეთ და სომეხი გლეხები დიდის სიამოვნებით მიგიღებენ...

ამ გლეხის სიტყვა სომეხ მოწინავეებს არ ესიამოვნათ: ერთმა ჩოხის კალთას ჩამოხსწია კიდეც, უკანა რიგზე გაიყვანა და ჩუმად, დამუქრებით ჩასჩურჩულა:

—ვირის თავო, განა ენა იმიტომ გაბია, რაც სულელმა ჰკუამ გიჩურჩულოს, ყოველივე ამოაყრანტალო? შენ ვინა გკითხავს ქვეყნის ბედს!.. გასწი, დაიკარგე!..

მიუხედავად ამისა, მოჯანყე გლეხებთან მაინც წავიდა დელეგაცია სომეხთა სახალხო პარტიის წევრთა მ. ნ. ათაბეგიანის, ი. ი. პაპაჯანიანისა და ერთი უპარტიო უცნობი კაცისაგან შემდგარი. მაგრამ ამათ, გლეხებმა, ამჯანყებელთა ნიშნით კინაღამ ქვა დაუშინეს: გაგვშორდით თორემ თქვენც ქართველებს მიგაყოლებთო.

—ნუ თუ ყოველივე ის, რასაც მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლე შევსტრფოდი და რასაც ერევანში საქმით ვახორციელებდი, ერთს დღეს უნდა დაიღუპოს—წარმოსთქვა ს. მდივანმა და ისევე ყარაქლისისკენ გასწია სომეხთა სარდლობასთან‘ უმთავრესად ჰდროსთან გამოსალაპარაკებლად,—ეგება როგორმე ავიცილოთ სისხლის ღვრაო. ყარაქლისს რომ ჩამოვიდა, აქ შეხვდა უზუნლიარის გლეხთა სამს რწმუნებულს მასწავლებელ სარქისას თანახლებით, რომლებიც სომხეთის ჯარის მთავარსარდალთან ჩამოსულიყვნენ ვითარების ასახსნელად.

—ქართველმა ჯარებმა სისხლი გაგვიშრეს. დღე ერთი იყო, ჩვენი უფლების დარღვევა ათასი,—სარქისა მასწავლებელმა. ამიტომ იყო, რომ გლეხებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგი არაფერი გვაქვს, ყოველივე მშვიდობიანად გათავდება, თუ რესპუბლიკის მთავრობა აჯანყებულ გლეხობას არ დასჯის...

—ღმერთიმც გიშველის, ძვირფასო ძმაო, მიუგო გახარებულმა ს. მდივანმა სარქისა მასწავლებელს: მიხვენით გლეხობა, რომ საქმის ვითარება ავუხსნა,—და ს. მდივანს თავისი სიტყვის ძლიერება სწამდა,—ისინი დაინახვენ, რომ ჩვენი მთავრობა არა თუ აჯანყებულ გლეხებს დასჯის. პირიქით: დასჯის მხოლოდ იმ მოხელეებს, რომლებმაც საწყალი გლეხები შეაწუხეს და მოთმინებიდან გამოიყვანეს. გარდა ამის გთხოვთ, ხელი შემიწყოთ, რომ სანაინით თბილისს წავიდე, რათა ყოველივე თქვენი გასაჭირი მთავრობას მოვახსენო...

—ოღონდ თქვენ იკისრეთ ამ დავიდარაბის ჩაქრობა და ვინ იქნება ის იუდა არ დაგეხმაროთ.--მიუგო სარქის მასწავლებელმა. და ს. მდივანიც დარწმუნებული იყო, რომ ხსენებული გლეხები მალე თბილისისაკენ გზას გაუხსნიდენ, მაგრამ ლოდინმა უქმად ჩაიარა: სომხები მასწავლებლიანად ისე გაქრენ ვით შარშანდელი თოვლი.

—ნუ თუ მომატყუა?—გულნატკენი ს. მდივანი სალამოხანზე შეეკითხა ა. ა. აღარონიანს..

—ეჰ, თქვენც დაიჯერეთ რაღა!-მიუგო ა. ა. აღარონიანმა ორჭოფი კილოთი: ეგ ვინ არის, გლეხებმა მაგის სიტყვაზე ითამაშონ. გლეხებმა თავი აიშვეს, აღარც მორჩილება ესმით, არც დარიგება და თავის ბედს თითონ სწყვეტავენ.

ს. მდივანი მიხვდა, რომ ,,აძოვებდენ‘‘ და თანდათან ეჭვი ეპარებოდა სომეხთა გულწრფელობაში. მიხვდა იმასაც, რომ იმდენად ქართველი ჯარები არ იყვნენ დამნაშავენი, რამდენადაც სომხისავე მოჯანყე-მესვეურნი და მაინც არა ტყდებოდენ. რაკი აქედან არაფერი გამოვიდა-რა, ს. მდივანი ტელეფონით ,,ძვირფას მეგობარ‘‘ ჰრდოს გამოელაპარაკა,

—ძვირფასო ჰდრო, თურმე უზუნლიარში სულ სხვანაირად ყოფილა საქმე, ვიდრე თქვენ დამისურათეთ: აქ ქართველი ჯარები კი არ უწესრიგობენ არამედ ვიღაცას აუჯანყებია სომეხი გლეხები. ამიტომ გთხოვ, მიიღო ზომები, სანაინზე გავიარო, რომ დროით შევასრულო ის გარდაწყვეტილება, რაზედაც ჩვენ მოვილაპარაკეთ.

ჰდრომ ულვაშებში ჩაიცინა, თან ბაზრულად გაიფიქრა ,,ვერ მოგართვი ბადრიჯანიო‘‘ და მერე მიუგო:

—ძვირფასო სიმონ გურგენიჩ! ყოველ მიზეზს თავის შედეგი აქვს: საჭიროა საქართველოს მთავრობამ მოაშოროს გენერალი წულუკიძე და აგრეთვე სანაინიდან გაიყვანოს თავისი ჯარები.

—როგორ? ეგ ხომ საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევასა ნიშნავს.

—ასეთია ნება და სურვილი ჩემი მთავრობისა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)




ლეონარდო და ვინჩი ავტოპორტრეტი
(გარდაცვალებიდან 400 წლ. შესრულების გამო)

იტალიელი მწერალი. ინჟინერი, ფილოსოფოსი, მუსიკოსი, მოქანდაკე, ბუნებისმეტყველი, მათემატიკოსი... ხელოვნებაში არ დარჩა არც ერთი დარგი რომ მის ნიჭს არ გამოებრწყინოს. განსაკუთრებით კი ხატვრულმა შემოქმედებამ უკვდავჰყო იგი. ცხოვრების სილამაზე მან ცოცხლად გადიტანა ტილოზე. სამხატვრო ხელოვნება უმაღლეს წერტილამდის აიყვანა. მის გავლენით გაფართოვდა ნიჭი რაფაელის, ლუინის და სხ. დღევანდელ ხელოვნების ნგრევის ხანაში მარად მოსაგონებელია მისი სახელი.

## მანწირელი

ზღვა ჰღელს, ზღვა ჰქუხს, ზღვა ბობოქრობს, ზღვა
საშინლად იმუქრება;

ტალღა მისგან განტყორცნი, ვაი იმას ვისაც ჰხვდება:
უმალ ქვესკნელს ჩაიტაცებს, გინდ ევედროს შებრალებ,—
იგი მაინც არ დაინდობს,—აგეთია მისი მცნება!..

მე ზღვის გალმა სატრფო მელის, არ შევცურდე არ იქნება;
აქ ვით გავძლო სხივი მისი ზღვის გაღმიდან მეჰფრიტება;

გული ჩემი მიიზიდა, მასთან შეყრაც მენატრება,—
აი რისთვინ ველარ მაჰრთობს ზღვის მრისხანე მუქარება!

ეჰ, მაშ შევალ ბედი ჩემი თუ გამწირავს გამიწყრება!
მეც იმათებრ დავიღუპო, ჩემზე წინად ვინც შაება;
მაინც ხომ არ გამკიცხავენ: ლაჩარია, შიშობს, კრთება
და ვერ ჰბედავს წასვლას იქით, სადაც სატრფო ეგულება;.

**გ. მირინაშვილი.**

# ფურცლები

(ქართული თეატრის კრიზისე.)

წერილი პირველი.

კაცობრიობის განვითარების პროცესში ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი თავისი მრავალ დარგით ადამიანის აზროვნების და სულიერ მოძრაობის მაცისკროვნებელია. უაილდი ამბობს: „ყოველივე ყოფა მოითხოვს იქცეს სიტყვად და სახედ“ კაცობრიობის ყოფაც მოითხოვს გადამუშავდეს, გამშვენიერდეს და ისევ მის წარმომშობს დაუბრუნდეს, რომ იგრძნოს ადამიანმა თავისი შემოქმედების წარმტაცი მშვენიერება.

როგორც ცალკე აღებულ ინდივიდუმს, ისე ხალხს გულს უკაწრავს და სულს უშფოთებს ცხოვრების უკუღმართობანი. დიდებულმა შექსპირმა წარმტაცი სახე მისცა მსოფლიო სევდას და საიდუმლოებით სავსე „ყოფნა არ ყოფნა“ მომხიბვლელი სურათებით ჰამლეტის სახით კაცობრიობას დაანახვა. სევდით მოცულმა ადამიანმა იპოვა სულის დასაყრდნობი. და ასე ყოველი დარგი ხელოვნებისა სიცოცხლეს აკავშირებს და სიკვდილის საშიშროებას აგიწყებს ადამიანს

თეატრი ხომ ის ტაძარია, რომლის სამრეკლოდან ყველა ადამიანის გასაგონად ისმის იმ ზარის ხმა, თავისი ბგერით რომ გვახლოებს, როგორც წარსულს, ისე გარკვეულ გზას გვაძლევს აწმყოში და წარმტაცი ფერადებით გვიშლის მერმისის სიმბოლიურ სახეებს. ეს ტაძარი ჩვენი მობლიურ ხატების საშინელი უნუგეშო სახით გვიდგას თვალწინ. ჩვენი ქართული თეატრი არა თუ მისი ღირსი სახით, არამედ საშუალოთაც ვერ დავაყენეთ. ჩვენში ძალიან ხშირად ისმის ლაპარაკი ქართულ თეატრის კრიზისზე, ზოგიც ამის წინადმდეგია და აღორძინების ხანას ხედავს. ეს ორი აზრი ჩვენში ისეთს ბუნდოვან სახეს ატარებს, რომ ჯერ კიდევ გამოურკვეველად უნდა ჩაითვალოს, რომელია მართალი. ამ კითხვის სრული ახსნა მე არ მაქვს აზრათ, რადგანაც ეს დიდს დროს მოითხოვს, გაკვრით მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ერში აღორძინება—განვითარება ნორმალური ტემპით გაიშლება მაშინ, როცა ერი, როგორც სოციალური ორგანიზმი, დამოუკიდებელია, თავისუფალი. ასეთს დროს ერის ყოველი ფუნქცია სიცოცხლეს იჩენს და სრულქმნილი ხდება. მაგრამ ასეთი ბედნიერება თანამედროვე კაპიტალიზმის ხანაში რომელიმე ერს ძვირად მოესწრება. დღეს ქართველი ერი პოლიტიკურად თავისუფალია, თავის ბატონ პატრონი მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს ჩვენ შეგვიძლია დავექანოთ სრულ განვითარების გზაზე. რამდენათაც მრავალწლოვანი იყო ჩვენი მონური ცხოვრება, იმდენად გვჭირდება მრავალი წლის განმავლობაში შევქმნათ ახალი ერა ჩვენი განახლებული სიცოცხლისა. არის კიდევ ერთი გარემოებაც. შეიძლება რომელიმე ხალხი დამონავებულ ხანაში იმყოფებოდეს, მაგრამ მისი ლიტერატურული შემოქმედება მაინც ფართოვდებოდეს. ამ უკანასკნელი მოვლენის დამადასტურებელი თითქმის ყველა ერის და სახელმწიფოს ისტორიაა.

მიუხედავათ იმისა რომ რუსეთის ცარიზმი საღ აზრების ციხეში ამწყვდევდა, ამავე ტანჯვა წვალებამ რუსეთს მისცა ისეთი ტიტანები, როგორც არიან ლ. ტოლსტოი, მ. გორკი, დოსტოევსკი და სხვა მრავალნი. ესენი ხომ უტყუარი მაგალითები არიან იმისა, რომ ძლიერი ნებისყოფა შემოქმედებისა იქაც—კი იჩენს თავს სადაც ტირანიის შავი ხელები ყველაფერს ჩაბღაუჭებია.

ქართველი ერი მიუხედავათ იმისა, რომ იგი თითქმის ყველა ერზე მეტს დაჩაგვრას იტანდა, როგორც დამოკიდებული, მაინც ახერხებდა გამოუჩინა ლიტერატურული შემოქმედება.

აქ არ შევუდგები ჩვენი ერის ლიტერატურულ შემოქმედების განხილვას უშორეს დროიდან, გაკვრით მოვიხსენიებ მხოლოდ იმ პირველ საფეხურს, როცა ჩვენმა ერმა ფეხი შედგა გაევროპიელების გზაზე ამ დროს ჩვენს ცხოვრებასა და აზროვნებაში ახალი ერა შეიქმნა. და ეს ახალი ერა ჩემი აზრით, იწყება იმ დროიდან, როცა ჩვენმა ერმა იგრძნო ფეოდალური ზმის დამხობა და ახალი ხანის—კაპიტალიზმის შემოჭრა. აქედან იწყება სულ ახალი პოლიტიკურ-სოციალური და ფსიხოლოგიური ჩანასახები და რამდენათაც ეს ახალი ეპოქა ჩვენი ცხოვრებისა ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ, კერძოთ დრამატურგიამ მთლიანად ვერ დახატა, იმდენად ჩვენი თეატრის კრიზისის კითხვაც აქედან იწყება.

ყველასთვის აშკარაა ის რომ კაცობრიობის სოციალური განვითარება დაწყებულია პირველყოფილ პრიმიტიულ ხანიდან დღემდის ერთგვარი ფორმით არ ვითარდება. ჩვენ ვიცით კომუნის ხანა, ბარბაროსული, მონური, ფეოდალური და უკანასკნელად ამ შეუჩერებელმა პროცესმა მოგვიყვანა თანამედროვე კაპიტალიზმის ხანაში. განვითარების ამ ისტორიულ ეტაპებს აქვს თავის დროინდელი დიდ მნიშვნელოვანი დეტალური მხარეები—ისტორიული მომენტებიც—რომელშიაც ისახება შესაფერი ფსიხოლოგიური გაწყობილებანი.

და სრული მოძრაობის გადმომცემი როგორც ზევით ვთქვი, არის ხელოვნება თავისი ყველა დარგით. ამ შემთხვევაში დრამატურგიას დიდი როლი აქვს მინიჭებული. როცა სცენაზე ვხედავთ რომაელების ან საბერძნეთის ცხოვრებიდან აღებულს, ხელოვნურად დაწერილს, დრამას ან ტრაგედიას, აქ ჩვენ მარტო პიესის გმირთა ინტრიგანულ კვანძს კი არ ვეცნობით, არამედ თვალწინ გვებლება ჩვენგან არ ნახული ყოველი ხანის მთელი ცხოვრება. ნერონის ტირანიული სახის გაცნობით ჩვენ ცოცხლათ ვხედავთ, როგორც მტარვალის თორებს, ისე მონათა განადგურებასა და გასრესას. ვეცნობით იმ დროინდელ მორალს და ტრადიციას, რელიგიას, ქანდაკებას მხატვრობას და სხ. მრავალს. და ასე შე-

საძლებელია, ერთმა ხელოვნურათ შექმნილმა პიესამ ნათლად დაგვანახოს რომელიმე ეპოქას, ამ ეპოქაში შექმნილ განსაზღვრულ მომენტებს.

დღეს, როდესაც შრომასა და კაპიტალს შორის შექმნილი სამკვდრო სასიცოცხლო ჭიდილი ათას გვარს სოციალურს და ფსიხოლოგიურ ფაქტორებს იძლევა, ჩვენ სცენაზე დაკვირვებით უცქერით ფეოდალიზმის დროინდელ დრამებს ტრაგედიებს და კომედიებს. ღალატი ჩვენთვის ძვირფასია საყურებლად მაშინაც კი როცა მას მრავალჯერ დავესწრებივართ, ეს იმისთვის, რომ ამ პიესაში იხატება როგორც ფეოდალიზმის ხანის ერთი მხარე – სამშობლოს სიყვარულის — და მისდამი თავდადებისა ისე მეორე მხარე — ესტეტიზმისა, რომელიც მიეწერება სუმბათაშვილი ძლიერ ნიჭს. ეს პიესა ადამიანს, იმის გარდა რომ მოვლენას ახლოებს, ამასთან თეატრისადმი სიყვარულს უმტკიცებს. მაგრამ ფეოდალიზმის ხანა მარტო ამით არ გვაინტერესებს. ჩვენ გვინდა სხვადასხვა მომენტები დავინახოთ: ბატონისა და ყმის ყოველი მხრივი დამოკიდებულების მთლიანი სურათი ე. ი. სწორედ იგი და არის ჩვენმა დრამატურგიამ შექმნას სცენაზე ისტორიის გარდა მრავალი ხანის უმწყობრო და მხატვრული სურათები. თუ ეს არ შექმნა ჩვენმა დრამატურგიამ, კრიზისი ლოღიკური შედეგია თვით სინამდვილისა. და ამ კრიზისის წინაშე ჩვენი საზოგადოება უკვე დგას.

ჩვენი თეატრის წინაშე დიდი ხანია ასე დადგა კითხვა: ან სრული დ[ა]დაქ[ვე]ნება ჩვენი გემოვნების ევროპიულ დრამებისკენ, ან პარალელურათ მასთან შექმნა ქართულ დრამის ორგინალობისა. რა გასაკვირველია ჩვენ ვერ გავექცევით გავლენას, მაგრამ საერთოდ გავლენა შემდეგ ორგინალობითაც უნდა შეივსოს. ამ არა ჩვეულებრივ სინტეზის გზაზე ჩვენმა დრამატურგიამ საშინლად მოიკოჭლა — და ეს დღემდის გრძელდება. ქართველმა ერმა ეპოქას ყოველმხრივ მიბაძა, ზოგ შემთხვევაში მისდა უნებლიეთაც უნდა დამორჩილებოდა, რომ არ გავაგრძელოთ, ავიღოთ ჩვენი ერის უახლოესი ხანა ფეოდალიზმის დაცემა და კაპიტალიზმის შემოჭრა. ეს რუბიკონი ევროპაში ლიტერატურამ ყოველმხრივ გახმარტა, გაშალა და სცენაზედაც საკმაოთ იქნა გადატანილი. ჩვენში კი ამ ორი მოვლენის საბედისწერო შეხლა რამოდენიმემ გვაცნო თავისი „მეზობლებით“ და არ შეიძლება მას აქ პირველობა არ მიეკუთვნოს ქართულ დრამატურგიაში.

„მეზობლებით“, ავტორმა თითქმის ერთგვარი სიგნალი მისცა დრამატურგიას, რომ ეს ხანა უნდა ამოწურულიყო. მაგრამ ვერავითარი ვერ დავინახეთ მას მერე ფეოდალიზმის დამხობის შემდეგ ჩვენი ცხოვრების ორი შესამჩნევი მდგომარეობა: კაპიტალიზმის პროცესში გახვია და ეს ისტორიული მოვლენა, რომ ფაქტიურათ დადასტურებულია ჩვენ განვიცადეთ მუშათა კლასის პირველი რევოლუციური ნაბიჯი 1905 წ. ამ დროს მუშათა კლასმა გამოიტანა თავისი ბრძოლის იარაღი და პარტიის წინააღმდეგ რა ამით ერთი საფარი მოშორებოდა კაპიტალიზმის ტირანობას. მარა ობიექტიურმა პირობებმა ეს ცდა დამარცხებით დააბოლოვა.

და ეს მოვლენა, როგორც რუსეთის ცხოვრებაში ისე საქართველოს მშრომელ ხალხისთვის უდიდესი ტრაგედია იყო. ამ უდიდესი მომენტის, როგორც სოციალური მხარე ისე ფსიხოლოგიურიც, რამოდენიმედ შესძლო დაენახვებინა სცენიდან—გედევანიშვილს თავისი „მსხვერპლით“ და „გამოცემით“ ი. გედევანიშვილმა ამ პიესებით ქართულ დრამატურგიას ერთგვარი კონსპექტი მისცა, მაგრამ, როგორც თვით ი. გედევანიშვილმა ისე სხვებმაც ამ დიად მნიშვნოლოვანი მომენტის გაშუქებას გვერდი აუხვიეს და მდიდარი მასალა დარჩა ხელშეუხებელი—ასეთს გამონაკლისობა მხოლოთ ხელშეხებაა „მოვლენისა ლიტერატურულ სფეროში ერთგვარ შემთხვევითი სახეს იღებს მიუხედავათ მის მნიშვნელოვან დასაწყისისა. ომმა დიდი რუსეთის რევოლიუცია წარმოშვა და ეს უდიდესი მომენტი იძლევა უდიდეს მასალას როგორც საერთოდ მწერლობისთვის, ისე კერძო თდრამატურგიისთვის. მაგრამ დღეს დღეობით ჩვენ მწერლობა თავისი სიჩუმით ალბათ გიოტეს სიტყვებს იმეორებს „ამ ადგილზე დღეს იწყება ახალი ეპოქა მსოფლიო ისტორიისა და თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ მის დასაწყისს დაესწარით“ და დასწრების“ შემდეგ ეს თავისი ნასკვებით, უნდა გადავიდეს ჩვენს დრამატურგიაში. და მაშინ შეიძლება ის ავადმყოფობა რომელიც ჩვენს მწერლობას ფუტურიზმის სახით მოედო, იქნებ ალიგვაროს. შეიძლება ვისმეს ეხამუშოს სიტყვა „შემთხვევითი“ მაგრამ დღევანდელი—ჩვენი დრამატურგია თავისი ნაწყვეტების სახით ასეთს შთაბეჭდილებას სტოვებს. გედევანიშვილის „სინათლე“ არ არის გაგრძელება მისი პირველი დასაწყისის. სტუდიამ „ჰანელე“ დადგა და ამით რა უნდა ითქვას ეს მხოლოთ ერთი ნაკვთია გაუპტმანის მთლიანი სერიებისა რომლებიც მან გერმანიის ხალხს მისცა; ჩვენ კი მისი ნაწყვეტებით გაგება არ შეგვიძლია. იბსენი, მეტერლინკი, შილერი და სხვა ტიტანები ახალი ერას შექმნელია არიან ევროპის დრამატურგიაში, მათ თავიანთი სისრულით თეატრი შეაყვარეს ხალხს და შექმნეს განსაკუთრებული თეატრალური აუდიტორია. ქართველი აუდიტორია კი დაიქსაქსა. თუ გუშინ მან სახელმწიფო თეატრში ხელოვნურათ დადგმული „რუსული“ ოპერა მოისმინა დღეს არტისტულ საზოგადოებაში „იდიოტს“ ნახავს და თუ ხვალ აფიშას წაიკითხავს იმისას, რომ „სამშობლოს“ დადგამენ ქართული მსახიობები, ხელს ჩააქნევს და იტყვის: არაფერია ახალი. ასეთი ხელის ჩაქნევით ქართველი აუდიტორია თითქოს უკვდის ქართული თეატრის განახლებას და აღორძინებას. და ვინ იცის მოვესწრებით თუ არა, რომ მოვიდენ ჩვენ დრამატურგიაში „უფროსნი ან უმცროსნი გოლიათნი.“

ქ. გერგეხელი.

## შემოდგომაა!

გაქრა ზაფხული, შემოდგომაა!
შემოდგომაა, ღონდება გული;
ჩქარა დაზამთრდეს ის მარჩევნია,
რომ ისევ მოჰყვეს მას გაზაფხული!.
თუმც თავის დროზე ყველა კარგია:
ზამთარ-ზაფხული და გაზაფხული,
მაგრამ ყველაზედ უფრო მიყვარს მე
ყვავილოვანი თვე გაზაფხული...
მაშინ სიცოცხლე სდუღს და გადადის:
არა აქვს ზომა არ აქვს საზღვარი.
მიყვარს სიცოცხლე და გაზაფხული,
რად მინდა ცივი მკვდარი ზამთარი?!.

კლავდია გაბუნია.



საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა. 23—29 მაისი 1919წ. ქ. თბილისი.



**დავით ჩხეიძე—დია ჩიანელი—ბელეტრისტ-ჟურნალისტი და გიგლა მებუკე—ჟურნალისტი.**

## დია ჩიანელი (დ. ჩხეიძე)

დია ჩიანელი თითქმის 10 წელიწადია რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და თავისი მოხდენილი ნოველა-მოთხრობებით პირველ დღიდანვე მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება.—ის პირველად ჩვეულებრივი სტილით და ენით სწერდა მაგრამ 10 წლის განმავლობაში მწერლობით უკვე გამოიმუშავა თავისი საკუთარი სტილი და ენა. მას არ უყვარს გრძელი წინადადებები, არ უყვარს ზედმეტი სიტყვები და ზედმეტი სიტყვით არ აზდენს მკითხველში თავის მოთხრობის შთაბეჭდილებას. მისი მოთხრობე ი ლაკონითერი ენით დაწერილი და სასიამოვნო საკითხია. ამ მხრივ ის ანგრიშს უწევს თანამედროვე საზოგადოების გემოვნებას და ზედმეტ სიტყვების კორიანტელით მკითხველს არც თავს აბეზრებს და არც ძარღვებს უშლის. მაგრამდია ჩიანელის მოთხრობები ძვირფასია არ მარტო სიცილით არამედ თავის შინაარსითაც. მას შეუძლიან და ადვილად ეხერხება თავის მოთხრობაში ადამიანის ცხოვრების საუკეთესო მომენტი გამოიტანოს და მით მკითხველის ყურადღება მოთხრობის კითხვის დროს ერთბაშათ მის შინაარსზე მიჯაჭვოს. ეს დიდი ღირსებაა მწერალ-ბელეტრისტის, რასაც ვერც ერთი კრიტიკოსი ვერ წაართმევს დია ჩიანელს

დაწერილი აქვს მრავალი მოთხრობა ნოველა. მისი მოთხრობა-ნოველების პირველი წიგნი ქუთაისში შარშან გამოიცა. წიგნის ასე მსწრაფლად გავრცელება იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად საყვარელი მწერალია დია ჩიანელი ქართველ საზოგადოებისათვის. წელს თბილისში იცემა მისი დიდი რომანი ორ ნაწილად „ქეთო." დია ჩიანელი ქუთაისში მსახურებს მასწავლებლად ქალთა პირველ გიმნაზიაში და კულტურულ და პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწევა. ის ჯერ ახალგაზრდა მწერალია და დიდ იმედებსაც იძლევა, რომ ქართულ ლიტერატურას მრავალ ახალ ნაწარმოებს შესძლენის.

**წითელი**



შ ო თ ა ნ ა ხ ა ტ ი ლ. გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა

## სინათლის ასულს

გვირგვინს მოგიძღვნი, მაგრამ არ ვიცი შევამკობ რით?
—მოწყენით მით ხარ?.
ლექებს დავწნავ, შემოვაქსოვ გარს ქალწულ რითმას.
თუ არ დამიზრო სუსხებმა ბაღი მონაშენი,
ცხელი ლოცვებით აგიფურჩქნი ვარდს მონა შენი;
ნეტრ გ ამბობს ტროფობის ცეცხლით როგორ ვიწვი მე,
ენძელამაც იცის შენზე ცრემლები რო ვიწვიმე;
ეგ ლექსიც გეტყვის ეხლაც თვალებს ცრემლები რო დის·
—ხო მიხვდი მითხარ?..
გვირგვინს მოგიძღვნი, მაგრამ გნახავ სად, ან და როდის?

ლადო პერტაია



აკაკი მეთ. ხოშტარია
ცნობილი მრეწველი და ქველმოქ-

მედი. სამშობლო ხელოვნების და მწერლობის აღყვავების ხელშემწყობი,— ამ ჟამად ამერიკას გაემგზავრა ორი სავაჭრო გემის შესაძენად. ერთს ერქმევა პრეზიდენტი ჟორდანია, მეორეს საქართველო.

## არიადნე.

ხელოვნების ვრცელ ტაძარში ვერ მივაგენ უკვდავებას
რომ სიცოცხლის ზვირთებს გავყვე ზვირთით ზვირთზე
გადავება.

არიადნე გევედრები, არიადნე მომე ძაფი.
რომ თეზეოს ლაბირინტში გზა დამირჩეს განაკაფი.
გესმის! მოვკალ პიპოსტრატე; შევებს მივე ყველა
მგზავრი,
და ეხლა კი ლაბირინტში უნდა მოვკლა მინოტავრი.
აქ წამოსულს მელოდება კლდის ნაპირზე მამაჩემი.
თვარ მნახა თეთრი დროშით, ზღვა ჩაანთქავს კლდის
ანაცემი.

არიადნე გევედრები, არიადნე მომე ძაფი.
რომ თეზეოსს ლაბირინტში გზა დამირჩეს განაკაფი.

ავ. ქვასხვაძე

# თავისუფლების გარიჟრაჟზე

(დასასრული. იხ ,,თ. და ც.“ №12)

სამ. თავისუფლება...

ნინო. სამსონ, ჩემი სიცოცხლის საგანო, შენ ასეთი სასოწარკვეთილი სახით მაშინებ. შენში საშინელი ცვლილებაა. ნუ თუ დავიჯერო, რომ ასე დამაბუნდი. შენ ხომ მუდამ იდეალისტი იყავი. საკმარისი იყო შენი სახე მომეგონებია, რომ მე. სიმხნევით აღვიჭურვებოდი. ეხლა კი...

სამ. ბოდიშს ვიხდი ნინო, რომ ჩემი არაჩვეულებრივი ქცევით ტანჯვას გიმატებ. მაგრამ ეს ისე... ისე მოვიდა... იმისთვის რომ.. ავათ ვარ.

ნინო. სამსონ რატო პირდაპირ არ მეუბნები?!

სამ. (შეხედავს) ნინო, მითხარი, მითხარი რას იზამ თუ მე აქ შემიწირა ამ საშინელმა კედლებმა?

ნინო, შემიბრალე სამსონ, ასეთი წარმოდგენის წინაშე ნუ მაყენებ... შენ მალე, სულ მალე განთავისუფლდები სრულიად.

სამ. სრულიად... მართალია. . მაგრამ პასუხი მაინც მითხარი ნინო ჩემს შეკითხვაზე.

ნინო. ნუ, თუ მამლევ ასეთ შეკითხვას სამსონ. მე არ შემიძლია მაგ აზრს შევურიგდე. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი სიცოცხლე ჩვენი სიყვარულით ისაზღვრება, ამას იქით მე პასუხს ვერ ვაგებ.

სამ. ნინო, შენ სცდები. და თუ მოვკვდი, შენი ასეთი განცხადება სევდათ ჩამყვება. შენ ხომ იცი ნინო, რომ ჩვენი ორი სულის მთლიანობის საგანი სილამაზე და ვნებათა ღელვა არ იყო.-ჩვენ ნინო იდეის წმინდა სამსხვერპლოზე შევხდით ერთმანეთს. ჩვენის რწმენის ხატება ეს თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო და ამ ბრძოლის სტიქიაში გაინასკვა ჩვენი სიყვარული. გახსოვს, როდესაც ბრძოლით მოქანცულებმა ერთი მეორეს რომ უთხარით: თუ ერთი ჩვენგანი ბრძოლის ველზე სასიკვდილოთ დაეცეს, ერთმა მაინც სხვებთან ერთად განაგრძოს სიცოცხლე, რომ მით მეტი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას. ეს სიტყვები, ნინო, სიკვდილს აქარწყლებს. ხომ გახსოვს ნადსონის სიტყვები:

,,დაე, დაიმსხვრეს იგი სამსხვერპლო,
ღვთიური ალი მაინც ციალებს.-

იქნებ მე, ნინო შენი სიყვარულის სამსხვერპლოთ ვიყო, მაგრამ მერე შენი რწმენა საკაცობრიო სამსხვერპლოზე გადაიტანე (ადელვებული) მე მწამს ნინო და სამარშიაც ამიმედს ჩავიტან, რომ ჩვენს იდეალებს ვერ დაახრჩობენ, შეიძლება დროებით შეგვაჩერეს, შეიძლება ჩვენს თავგანწირულ რაზმს ბევრი გამოაკლეს, მაგრამ

,,დაე დაბნელდეს, ბნელს თან მოჰყვება
ახალი ძალა და განთიადი“,

მე მრწამს ამ განთიადის სიახლოვე. უკვე სულის წარმტაცი ნაპერწკლები გამოკრთიან. მე ვგრძნობ ამ ცისკრის ამოსვლას. ამხანაგები მაცნობებენ, რამ რაღაც ხრება. ვინ იცის, იქნება მე ვერ დავესწრო ამ თავისუფლების გარიჟრაჟს, მაგრამ მე იქ ბნელ სამარეში ვიგრძნობ თქვენს ძახილს, მე გამოვეხმაურები იმ სიმღერას, რომელიც დაიგუგუნებს:

,,უკვე ელვდება ბრიმხალი განთიადის მოციქული,,

მაშინ მოდი ნინო ჩემს საფლავზე და ჩამიძახე ამ ძლევამოსილ განთიადის მოხლოვება.

ნინო. ჩემო ღვთაებავ, გულს ნუ მიკლავ. იმ დროს შენც ხომ ჩვენი მოწინავე რაზმის მეთაური იქნები

სამ. ეგ სულ ერთია, ნინო ვინც იქნება. მე მხოლოდ უკანასკნელი თხოვნა შემისრულე,-ჩამომძახე, ჩამომძახე აქ. . (ამ დროს შემოდის დარაჯი)

მიკ. გეყოთ!.. დამშორდით, დრო გავიდა.

ნინო. გთხოვთ გვადროვოთ.

მიკ. წე თხოვნას არ ვიღებ, ბრძანებას ვასრულებ. (ნინო და სამსონ ემშვიდობებიან ერთმანეთს.)

სამ. წადი ნინო, ეგ მხეცია ადამიანის სახით, წადი.

ნინო. ჩემო იმედო, განშორების წამს მაინც მაჩვენე სიმხნევის სახე,-ასე რისთვის მიცქერი, თითქოს უკანასკნელათ მხედავდე.

სამ. წადი, წადი ნინო; მხოლოდ გახსოვდეს ჩემი უკანასკნელი ანდერძ. (დ ეცემა მოწყვეტილი ტახტზე. ნინოს უნდა მივიდეს მასთან, მაგრამ დარაჯს. კარებისკენ მიჰყავს)

მიკ. ბეყოფად. დრო გადის დამსჯიან.

ნინო. სამსონ შემომხედე.

სამ. უკანასკნელად ნინო.

ნინო. ახ! (ტირილით გადის.)

მიკ. კარგი, ნუ სტირი აქ ხმაურობა არ შეიძლება. (ნინო დაკეტილი კარებს ეყურდნობა სამსონიც მიგნიდკან მიეყრდნობა.)

ნინო. (კარედკან.) გული დაიმშვიდე, სამსონ,

სამ. უკანასკნელად ნინო, აწ ველარ. ნახავ შენს საიცნებო საგანს. (კანკალებს სუდიანათ ირგვლივ იყურება )

იმ ევ ცივი კედლები. . ხვალ კი., ნინომ არაფერს იცის (მაგას ისანჯავს ) სიცხე მატულობს. . სიკვდილი კარგია, ყველაფერი გათავდება, ნინო წავიდა; წავიდა იმ იმედით, რომ ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთი მეორეს. (შემოდის დარაჯი.)

დარაჯი. მიკიტ საქმე ცუდათ არის. რაღაც ხმები ისმის ვითომც რუსეთში არეულობა უნდა იყოს... ვინ იცის მიკიტ იქნებ შენი ოცნება გაქრეს. . უფროსი ნადზირატლობა კი არა, იქნებ თავიც მოგწყვიტონ.

მიკ. ეჰ, ჩემო ძმავო, ასეთი ხმები არაფერი

არ ნიშნავს მე როდესაც „პალიჩათ" ვიყავი, მოძრაობის ასეთი ბევრი მეთაურისთვის მომიკვეთია თავი. მე მგონია კიდევ განმეორდება ასეთი დრო. მაგრამ ჯერ მივიღო უფროსი ნადზირატლობა, მაშინ მე ვიცი.

2 დარ. ეჰ, არ ვიცი.. მაგრამ ამბობენ დიდი ამბავიაო. (ჩუმათ.) ის კი არა, მგონი ხელმწიფეც გადმოუგდიათო.

მიკ. სუ, აბა რას ბოდავ ამ სიტყვისთვის ხომ დახრჩობის ღირსი ხარ.

2 დარ. კარგი ღმერთმა კარგი ქნას. შენი ტუსაღი რას შვრება!

მიკ. წუთებს ითვლის, მალე მოვრჩები მაგის ხვეწნებას დღეს ცოლმა ნახა, ხვალ ს ხრჩობელას ნახავს. და ასე იწმინდება ნიადაგი.

2 დარ. მე კი მეშინია. მიკიტ. იქნებ ეს ნიადაგი ისეთია, რომ ახალი ამოვიდეს.. აი მღვდელიც მოდის.

მიკ. (სწორდება.) წადი შემჩნევა არ მოგვცეს (2 დარაჯი გადის)

მღვდელი აქ კამერაშია?

მიკ. დიახ, თქვენო უწმინდესობავ.

მღვდ. გაღე. (კარს აღებს მიკიტა მღვდელი შემოდის). როგორ ხარ შვილო... წამოიწიე, მოვედი რომ უკანასკნელათ ზიარება მიგაღებინო. წარსდეგ წმინდა მოციქულის წინაშე და მიიღე მისგან ლოცვა-კურთხევა ცოდვებისგან განწმედისა. და თუ აქ ქვეყანად ეშმაკმან ბილწმან დაგაყენა გზასა მრუნდსა, იქ მაინც ლოცვითა ღვთისათა გაიკაფე გზა.

სამ. აჰ თქვენ ხართ ღვთის მოციქულო. გმადლობთ მოვალეობის ასრულებისთვის, მაგრამ იცი, მე ისედაც ვკვდები. მე თვით ვგრძნობ სახრჩობელამდინაც ვერ მივაღწევ.. მხოლოდ უკანასკნელად მომეცათ უფლება საავათმყოფოში დავლიო სული.

მღვდ. ჯერ, შვილო, აღსარება თქვი ღვთის წინაშე და მერე მთავრობის წინაშე ვიშუამდგომლებ.

სამ. იშუამდგომლებ სულ ერთია. ველარ მოასწრებ აღსარებას. მერე რა უნდა გითხრა.. მე შენთან არა მქონია საქმე.. იცი, წადი მომშორდი. მომასვენე მე დამნაშავე ვარ. ხომ განაჩენი გამოიტანეთ რაღა გინდათ იკმარეთ.

მღვდ. ნუ ღელავ, შვილო, ყოველივე ღმერთმა იცის. თუ აქ ვერ განსაჯეს სწორათ, იქ სასუფეველსა შინა უფალი განსჯის. ნუ გიბყრობს დედამიწაზე წუთიერი ყოფნა ყველანი ცოდვილნი და უცოდველნი ძენი ადამისა იქითკენ მოვდივართ.

სამ. ჰა, ვიცი გინდა რომ სიკვდილი შემაყვარო; არა მე უნდა ვიცოცხლო, სიცოცხლე ყველაფერია- (ახველებს) მაგრამ გამშორდი, სულს ნუ მიხუთავ. შენი სახე ეს სატანას სახეა.. მომშორდი. სიკვდილის საშიშროებას ვერავითარი ფანატიზმი ვერ აქრობს. მე ავათ ვარ. არ მინდა მივიღო. წადი, მძაგხარ.. მატყუარავ, საზიზღრებო .. მაცდურებო! (სარკმის) აი აგერ ნინო... ყველანი აქ არიან.. მე მარტო არა ვარ.

მღვდ. სიცხემ უმატა... ბოდავს (მიუახლოვდება) დამშვიდდი.

სამ. დიახ უნდა მომკლან.. გაიხარებენ, დასტკბებიან მაგრამ არა ის არ კვდება, იდეია ცოცხლობს... სახრჩობელა.. საშინელია... სისხლიანი ჯალათი... ესეც ადამიანის სახით... ყველა მე მიყურებს ბრბოვ უგრძნობო... რას ხითხითებ

მღვდ. შვილო ნუ შფოთავ... გრძნობა დაიმორჩილე, ყვლაფერი განგების ბრძანებას ემორჩილება.

სამ. გამშორდი ბილწო სახევ!! მომაცილე შენი მაცდური ხელები, დაქირავებულო ჯალათებო.. აზრის ჯალათნო.. თავისუფლებას სულს უხუთავთ „არა კაცკლა" რად არის ეს ღვთიური სიტყვები. შენ ხომ ამ ქვეყნად მის განხორციელება ხარ: დაგიქირავეს.. რწმენის მაგიერ ფული ჩაგიდგეს გულში.. ეხლა წადი, იქ ჯალათი გიცდის, სახრჩობელა, მო მზადეთ... (გარეთ ხმაურობა ისმის შემოდის მიკიტ.)

მიკ. მამაო! რაღაც საშინელი ხდება (მღვდელი სასწრაფოთ გადის, მიკიტ მოუსვენრათ გადის) ალბათ ჩვენს თავზე უბედურება არის უკანასკნელად ცუდი ცნობები მოდიოდა: ტუსაღებიც რაღაც აღელვებულნი იყვნენ (აქედან სცენის სიღრმეში ისმის ხმაურობა .. ლაპარაკი და ფუსფუსი. ეს ხმაურება ფარდის ჩამოშვებამდის გრძელდება, რომელიც თან და თან ძლიერდება)

სამ. (სიცხე უმატებს და ახველებს) სიკვდილი.. შავი კედლები. „მონა დაამსხვრევს მონის ბორკილებს ცისკრის ვარსკვლავი, (ისმის კაკუნი, სამსონი ვერ დგება, რომ პასუხი გასცეს-მიძახიან. თავისუფლება იძახის „მღერიან თავისუფლების ჰიმნებს... სახრჩობელა აღმართეს! (კაკუნი ძლიერდება) მიძახეთ... მე მივდივარ, კუბოს არახუნებენ... ახ ჯალათებო, მომშორდით! ნინო.. წითელი დროშით ხელში (ხმაურობა მატულობს) (მიკიტ დაბნეულ მდგომარეობაშია არ იცის რა ქნას.

მიკ. ნამდვილია მართალია უნდა მოვემზადო უნდა შევებრძოლოთ. მე ხომ მომკლავენ.

2 დარაჯი მიკიტ დიდი ამბები ხდება.. ხალხი რაღაცას ახდენს ქუჩაში გროვდებიან, სროლაც არის (მიკიტა იბნევა.) ყველა დამნაშავეებს ხოცავენ.

მიკ. რომელ დამნაშავეებს??

2 დარ. ჯალათებს, პოლიციელებს... ყველას. ხელმწიფე ტახტიდან გადმოუგდიათ თავს უშველოთ.

მიკ. მერე აქ ხომ...

2 დარ. მე უნდა გავიქცე (გადადის. მიკიტა აგტომატიურ მდგომარეობაშია)

სამ. (სიცხეში) სახრჩობელას მოათრევენ ქრისტე ჯვარზე გაყავთ.. გოლგოთა. „თავისუფლებავ შენ ხარ კაცთ ნავთ-საყუდელი.“ „ნინო, ნუ სტირი.. თავისუფლების ხმები ღიანი... (ჯაჭვი ძლიერდება. შორიდგან იმის სიმღერა და მუსიკის მარსილიოზა)

შიკ. ეს რა ისმის! სანავდვილეა, სად წავიდე მოჰკლავენ. ბატონო. სამსონ მიშველე მე ხომ .. არა უნდა გავიქცე იმის მტერების ხმები ციხე გაამტვრეს, ტუსაღებმა. ჯალლეს სამსონის კამერას სამსონ თავისუფალი ხარ.

სამ ჯალათებო, მომშორდით ისმის გაძლიერებული ხალხის სიმღერა, სამსონი სულით მოძრავის სახეს იღებს ესმის ხმა დოლების, ხალხი ბორკილებს ამტვრევს, თავისუფლება გალობს

ერთი ტუსაღი გამოდით, ციხის ვარსკვლავი ამოვიდა, გაიხარეთ, სამსონ მოვდივართ შემოდიან სამსონის კამერაში. სამსონი ირგვლივ უკანასკნელ ძალას იკრებს. უნდა მოეხვიოს მას თუ მაგრამ ვერ ძლევს სისუსტეს ხალხ როდესაც წითელ დროშას შეხედავს უკანასკნელ ძალას მოიკრებს და დროშას გულში იკრავს წითელი დროშა მომეცით.. თავისუ... ნინო..

ნინო, გაიხარე, ხალხი დღესასწაულობს სამსონი უკანასკნელ წუთებში მისვენებს ნინოს გულზე უნდა რაღაც სთქვას სამსონ ოს შკიები. ახ სამსონ მოკვდა, თავისუფლების გარიჟრაჟზე! ყველას სახე მოიცავს და გვამს შემოეხვევიან ისმის ნელი სიმღერა „მსხვერპლათ დაეცი“,,

ფარდა ნელა ეშვება  კ. გერგესელი.

## სახალხო მუშაკი



ალექსანდრე ალექსისძე მიმინაშვილი

15 წ. სახალხო მუშაკობის შესრულების გამო, 1905 წ. მასწავლებელთა კავშირის პრეზიდიუმში იყო, შემდეგ რკინის გზის ს.-დ. ორგანიზაციებში მუშაობდა; რევოლიუციის ხანაში თბ. მუშათა საბჭოს წევრად აირჩიეს, ითიცხებოდა ბათომისა და ჩესტაფონის სახალხო გვარდიაში, მონაწილეობდა ბათომისა და ახალციხის ფრონტზე, ტყვედ შეიპყრეს ბათომში საცა რკინის გზის კომიტეტის თავმჯდომრის ამხანაგად იყო.

*
* *

წითელსა ფარდას შავ ჩარჩოებში
გრძი ქარ-შხალი კვნესით გაუქრის.
მთა მთას შესტირის, ცა დედამიწას,
შავი ღრუბლები ტანჯვის ცრემლს უღვრის.
ქარი ზუზუნებს, მწუხრის მთას ერთვის,
ცრემლის ღელესთან უცებ ჩუმდება,
მწუხრის მთის ღელეს, ცრემლისა ღელეს
ზანტი კურცხლები წინ ეგებება!.
წითელსა ფარდას შავ ჩარჩოებში
მზე ხან უპრწყინავს, ხან ისევ ქრება,
მონა მონას სცემს ორივ მარცხდება..
წითელი ფარდა უცვლელად რჩება.

ჩამორჩენილი

### ვით არ ვიტირო?

რაც კი არ არგებს ქვეყანას
ის ყველა ფუჭი ბარგია...

აკაკი

ვით არ ვიტირო ბედით გმობილმა,
ვქარწყლდები როგორც ფერფლი ეული;
მეც მტანჯავს მხოლოდ უსწავლელობა
გულის მომწყვლელი ესდენ წყეული.
ეჰ, რაოდენი ცხოველი აზრი
სულ უიმედოთ გამქარწყლებია.
და რომ ქაღალდზე გადმომეტანა,
ნაცვლად იმისა ოხრად მშთენია...
წყეულიმც იყოს ის ჩემი ეტლი
დაბადებიდან რომლიც დამყვა,
უიმედობის მეტს ვერასა მგვრის.
ვაი, საფლავშიც თუ იგი ჩამყვა.

დ. ესებუა



ჯარში კულტურულ-განმანათლებელ საქმეების მომუშავენი
(სამინისტროს მიერ დამტკიცებამდე)
1. გენ. ქავთარაძე, 2. ექიმი ნ. ერისთავი-შარვაშიძე, 3. კაპიტ. ალ. გორგაძე, 4. მასწ. თ. ანთაძე, 5. ჯ.-კ. სტუდ. გ. მესხი, 6. სიმონ გაჩეჩილაძე [წევილი].

## სცენა სამიკიტნოში

გიგოლა. ხუთი, რას დაღონებულხარ, ბიჭო, მამა შენს შეკუას ხომ არ გლოვობ?

ხუთია. გადი ტიხლია მაიმუნო დაა! შენ თუ იცინი, შენი თავის გახეთქამ, მე ვიცი, მანთამოვის ნასლედსტვო შენთვის დაუმტკიცებიათ აი:.. ერთი გაიხედე რა ამბებია დაა, ისეთი ყაჩაღობა გაუმართავთ ამ ბოლშევიკებს, გეგონება ალა მაჰმადხანი შემოსია საქართველოსა...

გიგოლა. მერე შენ რა? რაც უნდა ქნან? ჩვენკი პური გაგვიიაფონ... ამბობენ საცა ბოლშევიკებია, პური იხრათ არისო..

ხუთია. შენ ჭკვაზე აფრაკი ხომ არა ხარ? საიდან გააიაფებენ, რომ თითონაც არა ქვთ. ერთი პეტერპურღშ უნდა იყო, ცხენის ხორცი აღდგომის ბატკნად მოგეჩვენოს, რომ მაშინ გაიგებ...

გიგი. ეე მუნდრევ, ამ წელიწად ნახევარში რუსეთი თითქმის გაანადგურეს და ეხლა ჩვენ აგვაშენებენ? ჭუზურში რაა არის მაგათი მეცლის ტკივილი? რომ საქართველოს თავისუფლება დაამხონ და ქვეყანა გაანადგურონ... მაგრამ ჩვენ არ უნდა ავყვეთ ჩვენი ქვეყანა ავაშენოთ...

ხუთია. შენ თავში ობრუჭი ხომ არ გაკრავს? ეხლა მეც მოვიტყუვე მეც რა მიამიტი, ბიჭი მნახე და.. ეეე ჭკვაზე მოდით: ქასაყალიდან ათ დღეში ქალაქში ფეხით ჩამოვ ულვარ, მერე ისიც უფულოდ. გაუშვებ გააფხაკუნოს? კაცოო, თუ საქართველოს აშენება უნდათ, მაშ რუსეთისკენ რათ გიყურებიან? რათ შეცვალეს მეფე ერეკლეს სახელი? ძეგლისმა გერია? ჩეხოვი დიდი სოციალისტი იყო?

გიგოლა. კაცოო, ეგენი ისე იქცევიან, რომ არც მწვადი დაიწვის და არც შამფური. არ უნდათ რალა რუ ეხსაე წყენინონ; თორემ რაც უნდა იყოს ასი წლის ამაგი აქვთ ჩვ ზეო.

ხუთია. არა, ძმაო, მე როგორც გატყობთ თქვენ ჯერ ბევრი გაკლიათ გოგრაში და ვერ მიხვდებით მაგათ ანგარიშს, მე კი ვიცი რათ შეუცვალეს შეუცვალეს ერეკლეს სახელი.

გიგი. აბა რათ შესცვალეს?

ხუთია. იმიტომ, ვენაცვალი სულში რო ეგენი საქართველოს კრისოში ბძანდებიან, მაგრამ რუსეთკენ გაიყურებიან... ერთიც ვნახოთ სკამი ფეხიდან გამოაცალეს, რუსი რომ შემოვიდეს ხომ იცი ყველას მახათის გორაზე ჩამოხრჩობენ მაშ! ეხლაკი სულ სხვაა, ჩეხოვის სახელით გულს მოუგებენ და თუ ვინიცობაა ღმერთი გაუწყრათ რუსები შემოვიდენ, მაშინვე ეტყვიან: ზდრასტი ტვარიშჩი, ჩვენც თქვენთან ვართი...

გიგოლა (მივიდა ხუთის თავში ჩაარტყამს) ვა, ეგ ჭკვა ამ გოგრიდან გამოვიდა? მართალია დიდი ლაყაფის პატრონი ხარ, მაგრამ არ მეგონა, თუ ამას მოიგონებდი!

ივ. ივრისპირელი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## შიმედღსიყვარელი

(გაგრძელება. იხ. ,,თ. და ც.'' № 12)

მიუხედავად შესაზარი შეხედულობისა, რომ დავჰკვირვებოდით ზურაბის თვალ-ტანადობას, სახის ნაკვთებს და ხელ ფეხის მოყვანილობას, დავრწმუნდებოდით რომ ეს წარმოსადეგი ვაჟკაცი ერთ დროს მართლაც ძალზე ლამაზი შეხედულობის ყმაწვილი კაცი უნდა ყოფილიყო. და არც მოვტყუვდებოდით. მართლაც ამ სამი-ოდხი წლის წინად ზურაბი ერთ სოფელში ყმაწვილ კაცად ითვლებოდა მთელ მხარეში. ის იყო შეძლებული აზნაურის იორამ [illegible] ერთად ერთი ვაჟიშვილი. მშობლები ადრე დაეხოცა ზურაბს და თავის მამიდა რუსუდანს გაეზარდნა იგი და პატრონობა გაეწია. თუმცა ბევრს ეცადა რუსუდანი, მაგრამ ზურაბს სწავლა-განათლება მაინც ვერ მიაღებინა. დარჩა იგიც ხელში უსწავლელი, თავის მამაპაპეულ შეძლების იმედით.

ზურაბის მამა, იორამი თუმცა უსწავლელი იყო, მაგრამ რიხიანი და მეტად თავმომწონე ვაჟკაცი, წარმოსადეგი ტანისა. იგი მუდამ ყურთმაჯებ-გადაყრილი, წვეტიანი წაღებით და კალმუხის ქუდით დაიარებოდა დაგრეხილი ულვაშები ჰქონდა და ყელზე ბალდადი შემოხვეული. თუმცა სიყმაწვილეში დიდი პატარა რუ ჩამოჩუჩხუხებდა. ცოტა მოშორებით იდგა ძველი, ხავს მოკიდებული. ნახევრად ჩამონგრეული კოშკი. გვერდზე—ახლად შეკეთებული თეთრი ეკლესია, რომლის სამრეკლოზე ორი პატარა ზარი ეკიდა.

სახლის ეზოში ამაყად აღმართულიყო უზარმაზარი ცაცხვის ხე, რომლის ხშირ ტოტებს მთლად დაეჩრდილა იქაურობა. იორამი და ქეთევანი ზაფხულობით თავისუფალ დროს ამ ცაცხვის ქვეშ ატარებდნენ ხოლმე. ხშირად აქ გამვლელ-გამომვლელნიც იკრიბებოდნენ შეა

მოქიფე და დროს გამტარებელი იყო, მამაპაპეული მამულებიც ბევრი გაუყიდნია და აუარებელი ქონება დაუდევრად გაუფლანგია, მაგრამ როცა ცოლი შეირთო, იგი სრულიად გამოიცვალა. საზოგადოებაში სახელოვანი კაცის სახელიც დაიმსახურა, ხოლო ნაყმევებისაგან—სიყვარული და პატივისცემა,

მისი მეუღლე ქეთევანი მეტად სარისტიანი და გამჭრიახი ქალი იყო. თავისი ჭკუითა და მეცაჯინობით ოჯახი ფეხზე წამოაყენა. მას შემდეგ იორამს არა თუ არ გაუყიდნია მამული პირიქით კიდევაც შეუძენია რაკი ხედავდა რომ მეუღლის დარიგება-რჩევა მუდამ გონიერი იყო, მისაც ჭკუაში უჯდებოდა და წინააღმდეგი არ უხდებოდა. ამ გვარად ერთმანეთის თანხმობით საქმეც ყოველთვის კარგათ მიჰყავდათ.

ხშირად იტყოდა ხოლმე იორამი: აი ამაზეა ნათქვამი- მხნე და გონიერი ცოლი გვირგვინი არის ქმრისაო. თუ კაცად ვიხსენიები, ჩემი კარგი ქეთევანის წყალობითაო, თორემ თქვენი მტერი მე საქმე დემემართებოდა, იქნება სულაც დავღუპულიყავი.

ქეთევანიც ღიმილითა და ტკბილის ალერსით ეტყოდა ხოლმე ქმარს: აბა, გენაცვალოს ჩემი თავი, ასე რომ არ მოვქცეულიყავით, ხომ ვერ შევიძლებდით ცხოვრებას და მტრის გულისად გავხდებოდით. ყველა ჩვენ დაგვცინებდა, ამოდენა შეძლება ჰქონდათ და მოხმარების შნო კი არ მისცათ ღმერთმაო.

ქეთევანი, თუმცა ლამაზი არ იყო, მაგრამ ძლიერ ეშხიანი და მიმზიდველი შეხედულობა ჰქონდა, მეტადრე როცა მოირთობოდა და შავგვრემან სახეზე ღიმილს გადიკრავდა, შემოიკრავდა ოქრომკედით ნაკერ თასაკრავს და ბანუშის ფერ ხავერდის ქათიბს ჩაიცვამდა თანაც ხელში ქარვის კრიალოსანს დაიჭერდა იმისი ზრდილობიანი, ტკბილი საუბარი ხომ ყველას ხიბლავდა.

ქეთევანი მეტად მოწყალე ადამიანიც იყო. ყოველთვის როცა კი პურს გამოაცხობდნენ, ქვევრს მოხდიდნენ, ან ვენახში ხილს მოჰკრეფდნენ, მეტადრე თუ ბედნიერი დღეც იყო, ქეთევანი ჭურჭელსა და კალათებს გაავსებდა და ღარიბსა და ქვრივ-ობოლს გაუგზავნიდა. იორამიც არ უშლიდა მეუღლეს, რადგან თითონაც უხვი და საწყლის შემბრალებელი იყო.

—ახლა ჩვენ გაჭირვებულ ხალხსაც უნდა გამოვადგეთ, ჩემო კარგო, ეტყოდა ხოლმე ქეთევანი მეუღლეს. ამიტომაც ყველა იმათი კმაყოფილი იყო და მათ მზესა ფიცულობდნენ.

იორამის ორსართულიანი სახლი ერთ მაღლობ ალაგზე იდგა. მისი დიდი ხის აივანი მთელ სოფელს გადაჰყურებდა. არე-მარე მწვანე ხავერდივით ამწვანდებოდა ხოლმე. იქვე ბაღჩაში ვენებლად და თან თავის დღიურ ჭირ ვარამზე მსჯელობდნენ,

იორამისა და ქეთევანის მყუდრო და ბედნიერი ცხოვრება არ იყო ხანგრძლივი. იგინი ვეღარ მოესწრნენ თავის საყვარელი შვილის ზურაბის, რომელზედაც მზე და მთვარე ამოსდიოდათ, გაზრდასა და დავაჟკაცებას. დარჩა პატარა შვიდი წლის ზურაბი სრულიად ობოლი.

მამიდა რუსუდანი დიდი კმაყოფილი იყო ზურაბისა. ხშირად იტყოდა ხოლმე:

მადლობა ღმერთს, რომ ამაგი დამიფასდა და ჩემი ზურაბი სხვა ახალგაზრდებივით თავნება და მფლანგავი არ არის. ყველაფერში ჭკუით იქცევა და ჩემს დაუკითხავად არას აკეთებს. აკი იმიტომაც მე ის უბედური მშობლების ნაამაგარი საქმე ისევ წესსა და რიგზე გვაქვს დაყენებული. ენაცვალოს მამიდა, მალე ცოლსაც შევრთავ და მაგისი ბედნიერებით ამ სიბერის დროს მეც გავიხარებო.

მაგრამ იორამის ნათლიმამა აკოფას დიდი ხნიდან თვალი ეჭირა ობოლს ზურაბის მამულ-დედულზე. იგი გადაჰკიდებოდა ზურაბის მამიდას და ცდილობდა ოცნებაშვილის მთელი ქონება როგორმე ხელში ჩაეგდო. თავისი მიზნის მისაღწევად ეს მდიდარი ვაჭარი ყოველივე ღონეს ხმარობდა. მეტი სისუქნისაგან ისე ჩარგვალებულიყო, რომ კისერს ძლივსღა იტრიალებდა- სახე გასწითლებოდა და თითებზე ძვირფასი ბეჭდები უელავდა.

—ჩემს დუქნებში ყოველივე სანოვაგე მოიპოვება, ეტყოდა ხოლმე აკოფა რუსუდანს. რაც კი გნებავთ დახარჯეთ თუნდა ფულიც ინებეთ თუ დაისაჭიროებთ ნისიად. არ შეგაწუხებთ, ისეთი ხათრი და პატივისცემა მაქვს ცხონებული ჩემი ნათლიის იორამისა და ქეთევანისა, რომ თქვენთვის სულსაც კი არ დავიშურებ. იმათი ადამიანობა და სიკეთე თავის დღეში არ დამავიწყდება. მერე რა ერთობა გვქონდა. უერთმანეთოდ წყალსაც კი არ გავათბობდით. ეჰ, გაოხრდა ეს წუთისოფელი განა ისეთი ადამიანები უნდა დახოცილიყვნენ.

აკოფამ ამოიღო დიდი ხელსახოცი და თვალები მოიწმინდა.

გავიდა ხანი. ოსტატობაში გამოცდილმა ნათლიმამა აკოფამ თავისი ოინითა და ხრიკებით მთელი მამული და სახლკარი ზურაბს ხელიდან გამოაცალა. ერთ მშვენიერ დღეს მთელი ქონება ვალში ჩაუწერა, კანონის ძალით დაიმტკიცა და ამ გვარათ აზნაურის ოცნებაშვილის მამულის სრული ბატონ-პატრონი გახდა.

ზურაბსა და მის მამიდას ბოლოს ისე გაუხდათ საქმე, რომ ერთ პატარა ოთახში სცხოვრობდნენ, ყოვლად უსახსროდ დარჩენილნი.

**მარიამ წინამძღვრიშვილი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**ხ. ხეთაში** 1918 წ. სააღდგომოთ ადგილობრივ სცენის მოყვარეთამიერ ბ-ნ ვლ. ნაჭყებიას ხელმძღვანელობით საქველმოქმედო მიზნით დადგმულ იქნა იოსებ იმედაშვილის პიესა .,სოფლის მიტინგზე"

უნდა ითქვას, რომ პიესა ეხლანდელ მდგომარეობის მიხედვით, განსაკუთრებით იმდროისთ ის ზედ-გამოჭრილი გამოდგა. ამით ხალხს ხათლად წარმოუდგა ის ნაწყვეტნაწყვეტ სურათები, რომელთაც რევოლიუციაში ჰქონდა ადგილი და აგრეთვე ღრმად განაცდევინა ის სულიერი ვითარებაც, რომელიც დატრიალდა მისგამომა თლაც რა არის მთავარი თემა, მიზანი პიესისა? ის რომ აღნუსხოს განსაკუთრებით რევოლიუციის მიერ მოხდარი ცვლილებანი და შევიდეს მაშინდელ მდგომარეობა-ვითარების გარკვევაში. აქ საუცხოვოდ დახასიათებულია ის ბრძოლა, რომელიც წარმოებდა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ამის გამო კიდეც იმართება მიტინგი... და აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი უფლების განმტკიცების მქადაგებლად გამოდის სოფლის მოწინავე გლეხობა, ხოლო წინააღმდეგობას უწევენ სომხები (ამ ქამად ქ. სომხობა) და ამიტომ, როგორც უმეტეს შემთხვევაში მიმართამენ შემდეგ მუხანათურს ხერხს: მოისყიდიან სალდათებს და წააქეზებენ მიტინგის დასარბევად სალდათები დაყვებიან იმათ ნებას და პირმოთნეობას... შეიჭრებიან მიტინგში ლანძღვა გინებით. ცდილობენ ყოველნაირ საშუალებით ხელი შეუშალონ მოქადაგეებს.

აგრეთვე აღსანიშნავია ქალების თავ—გამოდებითი და მხურვალე მონაწილეობა რევოლიუციის მსვლელობაში. ეს ყველაფერი ჰარმონიულად არის შეზავებული და გადმოცემულია სადა ფორმით. კილოს თავისებურება ლაპარაკში დაცულია.

მარა უფრო საყურადღებო და ხაზგასასმელი ისაა, რომ ის მწვავე შეხლა შემოხლა, რომელიც წარმოებდა საქართველოში ყველა ადგილებში მაგ. ქალაქებში დაბებში—გადატანილია სოფელში. და ისიც, რომ, როგორც რევოლიუციამ გვიჩვენა ეროვნულ თავისუფლების გასამტკიცებლად გამოდიან უმთავრეს შეგნებული გლეხობის ნაწილი. ამნაირია ამ პიესაში მაგ. პეტრე და გიგო. ხალხი ყველა ამას დიდი აღტაცებით ხვდებოდა. მიტინგმა და გიგოს ლაპარაკმა სრულიად გაიტაცა ია ხშირად გაიგონებდით ასეთ სიტყვებს: „ჰი რა მიტინგია არა! კარგი ქადაგი არ ყოფილა''... და სხვა.

დასასრულ წარმოდგენილ იქნა მეგრული პიესა,, ჯამუდა კუკეიძე. რომელმაც აგრეთვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. საერთოდ ასეთი მოწონება და წარმატება ჩემი ფიქრი უნდა მიეწეროს მათი რადა, გასაგებ აგებულებას.

1919 წ. 14 აგვისტოს ისევე ხეთაში ადგილობრივ ოც.—მოყვარეთა მიერ სკოლის დარბაზში ამხ. ესტ. ლატარის სასარგებლოდ დადგმულ იქნა პიესა ,,არსენა ყაჩაღი ალ. ყაზბეგისა და ,,უბედური დღე'' ვ. ბალანსივაძესი. ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო. წმინდა შემოსავალი 6000 მ. შემოვიდა რომელიც უკვე გადაეცა ამხანაგს. ორივე პიესა მშვენივრად იქნა შესრულებული.

**ვ. მასკურელი.**

**მუშტაიდის მუშათა კლუბში** გიორგ. 16. სცენის მოყვარეთა მიერ დაიდგა ი. ეკალაძის პიესა „ოცდ ერთი ჯვრით" დრ. 4 მოქ. ბერიშვილის რეჟისორობით სცენის მოყვარეთ ეტყობოდათ უნარი. იყო ნაკლიც, უპირველეს ყოვლისა დეკორაციებში, მასიურ სცენები ტიპთა გრიმიროვკა (მაგ. 1 მოქ. განოს გრიმი მოქ ლეო და მისი მომვლელი დის, ზოგიერთი სხვებიც). ლეონბერგი (კუდუხაშვილი) ტიპიური იყო, მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვან ადგილებზე გამოთქმაში მოიოშლებდა. განო (მ. კალანდაძისა) შეგნებული დაკავშირებაა ტიპთან.

ირაკლი კოვზირიძეს (ლითანიშვილის) შეგნებული დამხატრული განცდა იყო ტიპისა. თედორე (ქლენტი) თავისი სიდინჯით და ლაპარაკის ორგინალობით სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. ფრაპი (ხ. ლითაიშვილი) ტიპიური რუსი ალკოგოლიკი იყო როტმისტრი თევზაძე) და ხოკელი (ლეკიშვილი) საშვალო განსახიერება იყვნენ თავიანთი როლების. საერთოდ მოთამაშეებზე შეიძლება ითქვას ფრანგული ანდაზა ,,ლამაზ ქალს რაც აქვს იმაზე მეტს ვერ მოგცემთ," მაგრამ დარწმუნებული ვართ ზემოთ აღნიშნული ენერგია მათ ალბათ უფრო გაალამაზებთ. აღსანიშნავია რომ აქაურ სცენის მუშაკთ აუდიტორია უკვე შეუქმნიათ. თეატრის დარბაზი ხალხით სავსე იყო. და პიესის ჩატარება არც შესაფერ ალაგებენ შევვებულ აპლოდისმენტით ხვდებოდენ. საერთოდ პიესაზე უნდა ითქვას, რომ მას გრძნობათ ამრჩევი ეგრეთ წოდებული ავტორის სუბიექტიური ტენდენციონიზმი. რომელიც ჩრდიელავს მის საერთო იდეურ მხარეებს მაგრამ ამის მესახეს ცალკე წერილში.

**გელი.**

**კოოპერატივთა კავშირის დრამატიულმა სტუდიამ** გახსნა სეზონი გიორგობითვის 12 ჰაუპტმნის პიესა ,,ჰანელე'' და როსტანის ,,რომანტიკოსები' მიუხედავად პიესების სიძნელისა, წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა აღსანიშნავნი არიან: ანჯაფარიძისა, გამრეკელი, ლოლობერიძე, ბელოვანი, ჭიათურელი ლორთქიფანიძე, ხვანაძე და სხვა ხალხი ბევრათ დაესწრო, დემოკრატია სამწუხაროდ ნაკლები იყო

**დრამატიულმა სტუდიამ** არტ. თეატრში გიორ. 19-მეორე წარმოდგენა გამართა დაიდგა როსტონის ,,თეთრი ვახშამი,, კომედია 1 მოქ. და ბრიეს ,,სარწმუნოება.'' პირველ წარმოდგენის ნაკლი რამდენიმეთ ამ წარმოდგენამ გამოისყიდა. საერთოდ წარმოდგენამ მხატვრულად, მთლიანად ჩაიარა. ,,თეთრი ვახშამი'' ყოველ წვრილმანით შესანიშნავათ იქნა შესრულებული.

**სახალხო თეატრს** ახალი გეზი ეტყობა. იქნება ეს მისი ახალი რეჟისორის შალვა დადიანის მიწვევის შედეგიც იყოს. გასულ კვირებში კ. ხახანაშვილისმიერ თარგმნილი ,,რევოლიუციონერი ქორწილი'' დაიდგა. პიესა სრული ანსამბლით წარმოადგინეს; მოწყობილება, ჩაცმულობა, სახის მოხატულობა ერთიმეორეს ეხმატკბილებოდა. გარკვეული ხატებანი გვიჩვენეს ნინონიმ, მარგველაშვილმა, დადიანმა, მინდიაშვილმა, ჯიქიამ, თავდგირიძემ. დიდი სასცენო უნარი ემჩნევა ნინონის. იდეის მხრითაც პიესა თანშედროვეა და წრეს დიდი მადლობა ეთქმის ასეთი პიესის წარმოდგენისთვის. ხალხი ბლომად დაესწრო, განსაკუთრებით ახალგაზდობა, რომლის შორისაც კიდევ აღმოჩნდენ ისეთი უხამსები, რომლებიც წესს არღვევდენ. საჭიროა თვით ხალხმავე ალაგმოს ასეთი შეუგნებელნი.

**წ—ი**

**ბათუმის** ქართ. თეატრის ბედი უნუგეშო მდგომარეობაშია. ეს ხელოვნება წაბილწულია: თეატრი ლოტოს სათამაშოთ არის გამხდარი, ერთადერთი სათეატრო დარბაზია მხოლოდ, სადაც წარმოდგენების მოწყობა შეიძლება, მაგრამ აქაც ,,ფულომანია'' ბატონობს და აქაურ მოღვაწეთ სულს უხშირებს. სანუგეშო მოვლენას წარმოადგენს მხოლოდ აქაური განახლებული დრამატიული წრე, მაგრამ ძალთა განწყობილების დაქსაქვსა და საერთოდ ზოგიერთების გულგრილობა საქმეს

აფერხებს. საჭიროა წრის გამგეობამ ფხიზელი ყურადღება მიაქციოს ნაკისრ დიდ მოვალეობას და ბათუმის სულიერათ დაობლებულ ქართველობას თეატრიდან მაინც გააგონოს თავისი მშობლიური ენა. გოგი.

**სოხუმის** დრამ. წრემ ეროვნულ საბჭოს თაოსნობით და ივ. ბარველის რეჟისორობით გიორგობის 2 ალოიზის თეატრში დაიწყო ქართ. დრამის სეზონი შ. დადიანის პიესათი ,,შენი ჭირიმე!'' პიესის დაწყებამდე მ. წუწუნავამ დამსწრეთ გააცნო საქართველოს მდგომარეობის უმთავრესი ადგილები 19 20 საუკ. და აგრეთვე თეატრმა რა როლი ითამაშა ქართველთა ცხოვრებაში. პიესაში, ი. ბარველის გარდა, სცენის მოყვარენი მონაწილეობდენ. ხალხი მრავალი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. ვაშა სოხუმის ერ. საბჭოს და დრამ. წრეს!

**ქართული დრამატიულ მსახიობთა დასი** დაიშალა. მიზეზი: სახელწიფო თეატრის კომისარ ა. წუწუნავასთან შეუთანხმებლობა.

**რუსული დრ მის ,,ტარტო'' სეზონს** ამ წელს პროგრესი დაეტყო რეპერტუარის და ძალების მხრივ. ხალხიც ბევრი ესწრობა.

**ოპერის სეზონში** ალსანიშნავი ზ. ფალიაშვილის ოპერა ,,აბესალომ და ეთერი'' რომელიც ბევრ ხალხს იზიდავს. სხვა ქართ. ოპერების ჯერ არა ისმისრა.

**ყოველ ხუთშაბათობით** ქართულ კლუბის სცენაზე ქართველ მომღერალთა კავშირის მიერ იმართება ეროვნული კონცერტები.

**მთავრობის თაოსნობით** კვირაში ერთხელ სახელწიფო თეატრში იდგმება ოპერები შეღავათ ფასებში განსაკუთრებით მუშებისათვის.

**ქუთაისში სამუსიკო** და დრამის ორგანიზაცია გამოცოცხლება დაეტყო.

**მწერალთა** ერთი ჯგუფი ამ მოკლე ხანში—გამოსცემს ყოველ თვიურათ ჟურნალ ,,ცისარტყელა''—ს

**ახალგაზრდა მწერ ლმა მიხ ბოჭორიშვილმა** დასწერა ახალი რომანი ,,სიყმაწვილე'' და პიესა ,,ქარიშხლიან დღეებში,'' 4 მოქ. რევოლიუციის დროიდან, სოფლის ცხოვრებიდან.

**ოპერისა და დრამის** გასახელმწიფოებრიობის შესახებ აკ. ფალავამ დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიას მოხსენება წარუდგინა. კომისიამ მოხსენება საერთოდ მოიწონა მოკლე ხანში მუხლებრივ განიხილ.

**ვალერი ჯვარიძემ** დასწერა ახალი რომანსები ,,მითხარ ტურფავ,'' სიტყვები მისივე; ,,ერკულესი'' სიტყვები ვ. რუხაძისა ,,როს მწვანე ველი'' სიტყვ. ევდოშვილის. ,,მწარე მელოდია'' სიტყვ. ვ. ტაბიძისა და როიალისათვის ,,მტკვრის დუდუნი''

**იბეჭდება** და მოკლე ხანში გამოვა ზ. ფალიაშვილის ოპ. ,,აბესალომ და ეთერი''ს ნაწყვ.

**ბათომის** სცენის მოყვარეთა წრის თავმჯდომარე ვ. ყუფუნკაშვილი თბილისს ჩამოვიდა რეჟისორისა და მსახიობის გასაწვევად. წრეს განუზრახავს ბათომში სისტემატიურად მართოს წარმოდგენები კვირაში ერთხელ ან ორჯერ. დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ დახმარება აღუთქვა თანახმად ვ. ყუფუნკაშვილის თხოვნის.

**ახალციხის** ქართ. დრამატიულმა წრემ მუშაობა განაახლა. გიორგ. 14 დადგეს ,,ხანუმა.'' ხალხი ხალისით ესწრება. წრე სისტემატიურ მუშაობას აპირებს.

**სევერ. ბუკიამ** ხეთის სცენას შესწირა 1000 მ.

**,,ჯეჯილი''** 5-6-7 მივიღეთ. ნომერში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობა-ამბები და სურათები. დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე.

**ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპ.** კავშირის გამგეობამ ზუგ. შფაგულში შეიძინა ადგილი სახ. ასაგებად.

**ქვალონის მასწავლებელმა** გრ. ხუროძემ შეადგინა ქართ.-მეგრ.-რუს.-ლათ. ბოტანიკური ლექსიკონი

**ნინო. ჩხეიძის იუბილე** თბილისში გაიმართება ქრისტიშობის თვეშა სახელმწიფო თეატრში.

**შ. შარაშიძის** პიესა ავგაროზს ამ მოკლე ხანში დასდგავს სტუდია

**ურჩილ მაჭავარიანი** სწერს დრამატიულ პოემას 5 სურათად ,,თავადის ასული'', რომლის სიუჟეტი აღებულია საქართველოში მონგოლთა შემოსევის დროიდან.

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი** იოსებ იმედაშვილისა ხეთაში ერთი ცალი აუქციონით გაიყიდა 800 მან. შეიძინა სევერიანე ბუკიამ.

**ვისაც ჰსურს** გაიგოს ციმბირისა და მანჯ. სოციალ-პოლიტიკური თანამედროვე მდგომარეობა, შეუძლიან მიმართოს ე. ს. ხავთასის და დ. როსტომაშვილს საგანგებო მოხსენებისათვის გაწვევა შეიძლება ,,თეატრი და ცხოვრების'' რედაქციიდან.

## შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა

„თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ:

| | | |
|---|---|---|
| ქიტა ხუროშვილისგან (ხამმიდან) | — | 40 მ. |
| მოსე ი. ბარამიძისგან (ფოთიდან) | — | 100მ. |

შემომწირველთ დიდ მადლობას ვუძღვნით. რედ.



**აი საშინელი სურათი** რომლის სინამდვილეც დაჩქლეთილი ბავშვი გიორ. 7 ეგდო წყლის პირის ქუჩაზე № 83. ბავშვი მკვდარი იყო, ხელ ფეხ წაგლეჯილი, სისხლში ამოსვრილი. ჩემთან მოვიდა ერთი მოწაფე და ძრთოლვით მითხრა: ,,ძია აი ეს ბავშვი არხიდან ძაღლებს ამოეღოთ. ჩვენ მოუსწარით და ეგლა გადავარჩინეთ.— პატარა მოწაფეები გაფითრებული სახით მომაჩერდენ თითქოს რაღაც პასუხს ელიანო ნუ თუ ისთი საშინელი მოვლენები, აპე ზნედაცემული სახით უმდა ხდებოდეს! სად არის ადამიანური პასუხისმგებლობის ნატამალცკი? კ* კშ-ძე


უცხო სიტყვ. **ლექსიკონი**

შედგ. იოსებ იმედაშვილის-მიერ, ფასი 65მ.

**მიიღება ხელისმოწერა 1920 წ:**

**ჟურ ,,თეატრი და ცხოვრება''-ზე**

(დაარსდა 19 0 წელიწადი გამოცემისა—მერვე)

**სათეატრო, სამხატვრო, სამუსიკო, სალიტერატურო და საზოგადოებრივი შინაარსის, უპარტიო პროგრესიული, სურათებიანი კვირეული ჟურნალი.**

საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით.

ფასი: წლიურად 50 მან., ნახევარი წლით—30 მან. თითო 5 მან. ხელის მოწერა მიიღება რედქციაში თბილისში, ბაზრის ქ №20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი ანრეკევანიძისა. ფოსტით: თბილისი რედ. ,,თეატრი და ცხოვრება'' იოსებ იმედაშვილს.


რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**